

"იაკაშვილი საკუთარი ქონებით უნდა აგოს პასუხი"

✘ მიხეილ სააკაშვილი საქართველოში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ვიდეომიმართვა გაავრცელა და საბანკო სექტორის საკითხებიც განიხილა.

ექს-პრეზიდენტის თქმით დღეს ქვეყანას ივანიშვილი მართავს საბანკო ორიგარქიის მეშვეობით და ანგრევს ქვეყნის სახერმწიფოებრიობას და ქვეყნის ეკონომიკას, ამავდროს გაზრდილია საბანკო პროცენტები, რაც ბევრად აღემატება ევროპისა და მათ შორის სომხეთის საბანკო განაკვეთებს.

„საქართველოში არ არიან ბანკები. ის, რაც საქართველოში არის, ესენი არიან მევახშეები. ესენი არიან კორექტიური სოციალური მეჭღანუაშვილები და თანამედროვე ეპოქაში ეს სახელი და გვარი არის ბიძინა ივანიშვილი. ბიძინა ივანიშვილი მართავს ქვეყანას საბანკო ორიგარქიის მეშვეობით. მან თავის ბანკების და ყველა სხვა ძირითად თანამდებობაზე დანიშნა ხელის ბიჭები, ძირითადად საბანკო სექტორიდან წამოსული და ისინი არ არიან ბანკირები. ესენი არიან კლასიკური, ძველი ყაიდის, ყველაზე უარესი გაგებით მევახშეები, რომლებიც სისხრს სწოვენ თითოეულ ქართულ ოჯახს, საქართველოს ეკონომიკას, ანგრევენ საქართველოს სახერმწიფოებრივობას, ატარებენ ანტიქართულ, ანტიეროვნულ პოლიტიკას,“ – განაცხადა სააკაშვილი.

მიხეილ სააკაშვილი აღნიშნავს, რომ 2012 წელს, მისი მმართველობის ბოლო პერიოდში, ბანკების საერთო აქტივები იყო 12 მილიარდი დარი, ახლა კი გაზრდილია და ის 30 მილიარდზე მეტია, ბანკების სუფთა მოგება გაიზარდა 136 მილიონი დარიდან 900 მილიონ დარამდე.

„გამიხარებოდა ეს რომ მომხდარიყო ხარხის გამდიდრების ფონზე, მაგრამ ხარხი გაძვარტყავდა, ხარხი გაღარიბდა, პირველ რიგში ამ ბანკების გამო, . ბანკების მოგება გაიზარდა ამ გაღატაკების ფონზე 6-ჯერ და ეს ციფრი ნიშნავს იმას, რომ ბანკებმა ხელთ იგდეს

ოჯახების ქონება, ბიზნესები და მთლიანად სახელმწიფოს მართვა, სახელმწიფო აპარატი და პრაქტიკურად, თითოეული ქართველის ოჯახის ქონება. პოტენციურად, ეს არის ამ ორი თუ სამი ბანკის ერთპიროვნული საკუთრება.

2012 წლის შემდეგ ბანკის ოფიციალურ რეესტრში მოვარემა რიცხვი სამჯერ გაზრდილია. ყოველ მეთე მრდასრულ საქართველოს მოქალაქეს და გადაღებული აქვს ყველაფერი, ტერევიზორი, სახდი, მაგიდა, სკამი, მაცივარი, საბანკო ანგარიშები... საერთაშორისო სავარუტო ფონდის მონაცემებით, საქართველო მთელ მსოფლიოში მეორე ადვიღბეა, ყოველი 10 მოქალაქიდან 7-ს საქართველოში აქვს ბანკის ე.წ. ამ მევახშეების ვადი,“ – განაცხადა მიხეიღ სააკაშვიღმა.

მის თქმით, ევროპაში, სადაც უფრო მაღალია ცხოვრების ღონე, საშუალო საბანკო განაკვეთი 11 %-ია, თურქეთში მაქსიმუმ 16%, სომხეთში 7%, საქართველოში კი 25%. ბანკები ყველაზე დაუცველი მოქალაქეების ხარჯზე აკეთებენ ფულს.

“ყოველი მეორე პენსიონერი ბანკის მოვარეა. ცარვე საკითხია, როგორ მოითბო თქვენს გაჭირვებაზე ხერი თანამედროვე მეჭღანუაშვიღმა, ბიძინა ივანიშვიღმა. 2012 წელს მისი ბანკის საერთო კაპიტალი შეადგენდა 400 მიღიონ ღარს, ახღა კი 2 მიღიარდი ღარია, ყვეღა დაავარღებულია, რომ სახელმწიფო უწყებების ანგარიშები გადაიტანონ მის “ქართუ ბანკში,“ – განაცხადა სააკაშვიღმა.

ენემ–ს დიდერი ამტკიცებს, რომ ივანიშვიღმა გააკეთა კარტერული შეთანხმება და მოიქცა ზუსტად ისე, როგორც 90-იან წღებში რუსეთში მოიქცა საბანკო სექტორი, როცა შვიდი ბანკის მმართველობამ რუსეთის ეკონომიკა ჩამოშარა:

„საქართველოში ივანიშვიღი გარიგდა TBC ბანკთან, რომღის 25 % წამოიღო თავად ივანიშვიღმა...ამათ შექმნეს თავისი ბანკის კონტორა. ამავე გარიგებაში შემოყავთ პატარკაციშვიღების კარის მოღარე, საერთაშორისო აფერისტი გავრიღოვი; წამოიღეს “სოსიეტე ჯენერარდი“, უერთებენ ბანკებს და პრაქტიკურად, სამი ბანკი იღებს ყვეღაფერს საქართველოში – ივანიშვიღი და ივანიშვიღთან შეკრული მამუკა

ხაზარაძე და ირაკლი რუხაძე. ეს სამი ადამიანია თითოეული თქვენგანის ბიუჯეტის მტერი და მე ვიტყვდი, რომ საქართველოს მტერი, რადგან ისინი არიან მევახშეები და ანადგურებენ ქვეყნის ეკონომიკას, ისინი შედიან ყველა ბიზნესში, ადებენ ბიზნესმენს ვარს და ყველაფერს იღებენ ჯიბეში. მთელი საქართველო ხდება მთავარი მევახშის და მასთან შეკრული მევახშეების საკუთრება, ჩვენ გვპარავენ მომავალს და საქართველო რჩება პერსპექტივის გარეშე“.

ექს-პრეზიდენტი საპენსიო რეფორმასაც მთავრობის მორიგ აფიორას უწოდებს და აცხადებს, რომ მარე თითოეული მოქალაქე მთავარი მევახშის – ივანიშვილის საკუთრება იქნება. ამ ყველაფრისგან გამოსავალს კი მიხეილ სააკაშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში ხედავს.

„ეს ყველაფერი უნდა დამთავრდეს და ჩვენ არ გვაქვს ბევრი დრო. ჩვენ ეს უნდა დავამთავროთ წერს საპრეზიდენტო არჩევნების კვადრატად. საპრეზიდენტო არჩევნების კვადრატად საქართველოში უნდა შეიცვალოს ძალაუფლება, ხედისუფლება და საქართველოში უნდა დამთავრდეს მაფიის, მათ შორის, ივანიშვილის საბანკო მაფიის თარეში. პირველი, რაც უნდა მოხდეს ხედისუფლების შეცვლის შემდეგ – ახარ საბანკო კრედიტებზე უნდა დაიწიოს საბანკო პროცენტმა ბანკების ბემოგების ხარჯზე. ხოლო ივანიშვილის მიერ მოპარული აქტივების წამოღების ხარჯზე გავაკეთებთ უსამართლო ვარების და კრედიტების სიას (ეს არის ვარების აბსოლუტური უმრავლესობა) და დავაწესებთ ორწრიან მორატორიუმს მათ გასტუმრებაზე და ეს იქნება გარანტირებული სწორედ ივანიშვილისგან წამოღებული ფულით, იავნიშვილმა უნდა აგოს პასუხი ძარცვაზე და ტყუილებზე და მან უნდა აგოს პასუხი საკუთარი ქონებით. ეს მოხდება თუ ჩვენ ყველანი დავირამბებით“ – აღნიშნა ენმ-ს რიდერმა.